ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №6186784

ნომერი: AR1927414

თარიღი : 08.10.2022

გაცემის თარიღი : 31.10.2022

გაცნობის თარიღი : 31.10.2022

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , აკაკი ბელიაშვილის ქუჩა , N 111 ; ქალაქი თბილისი , აკაკი ბელიაშვილის ქუჩა , N 111ა;

დამკვეთი-განმცხადებელი

- გიორგი კვიწინაშვილი პ/ნ 01006005364
- თბილისი დიღმის მას. VI კვ. კორ. 1 ბ. 9

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ცვლილება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2022 წლის 08 ოქტომბერს №AR1927414 განცხადებით მომართა გიორგი კვიწინაშვილმა და მოითხოვა სამსახურის 2022 წლის 04 ოქტომბრის №6149336 ბრძანებაში ცვლილების შეტანა.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად,

შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 2022 წლის 04 ოქტომბრის №6149336 ბრძანებით №01.13.02.008.187 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე შეთანხმდა კვების ობიექტის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი.
განმცხადებელი განმარტავს, რომ სურს სამსახურის 2022 წლის 04 ოქტომბრის №6149336 ბრძანებაში (რომლითაც მოხდა მხოლოდ კორექტირებული არქიტექტურული პროექტის შეთანხმება) ცვლილების შეტანა და მშენებლობის ნებართვის დამატება.
დოკუმენტაციის გადამოწმების შედეგად სამსახურმა დაადგინა, რომ 2022 წლის 08 აგვისტოს №AR1916340 განცხადებით მოთხოვნილ იქნა №01.13.02.008.187 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე მხოლოდ კორექტირებული არქიტექტურული პროექტის შეთანხმება (განცხადება დარეგისტრირებულია შემდეგი ნომენკლატურით: რესტორანი - III კლასი - შეთანხმებული პროექტის ცვლილება - პროექტის შეთანხმება). აღნიშნულ განცხადებაზე წარმოდგენილ იქნა მხოლოდ კორექტირებული არქიტექტურული პროექტის შეთანხმებისთვის განსაზღვრული დოკუმენტაცია. შესაბამისად, სამსახურის 2022 წლის 04 ოქტომბრის №6149336 ბრძანებით მოთხოვნის შესაბამისად შეთანხმდა კვების ობიექტის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი. ამასთან, განგიმარტავთ, რომ მშენებლობის ნებართვა წარმოადგენს ნებართვის გაცემის დამოუკიდებელ სტადიას (III სტადია) და მომართვის შემთხვევაში დამოუკიდებელი ადმინისტრაციული წარმოების დაწყების საფუძველია.
სამსახურის 2022 წლის 04 ოქტომბრის №6149336 ბრძანება გამოცემულ იქნა „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების საფუძველზე, რომლის შესაბამისად მშენებლობის ნებართვა იყოფა სამ ურთიერთდამოკიდებულ, მაგრამ ადმინისტრაციული წარმოების თვალსაზრისით დამოუკიდებელ სტადიად: I სტადია – მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დამტკიცება; II სტადია – არქიტექტურული პროექტის შეთანხმება; III სტადია – მშენებლობის ნებართვის გაცემა.
საქართველოს ზოგადი ადმინისტარციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან, სამსახურის 2022 წლის 04 ოქტომბრის №6149336 ბრძანებით შეთანხმდა მხოლოდ კორექტირებული არქიტექტურული პროექტი (II სტადია) და როგორც აღინიშნა III სტადია – მშენებლობის ნებართვის გაცემა წარმოადგენს დამოუკიდებელ სტადიას, სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას შეიტანოს ცვლილება სამსახურის 2022 წლის 04 ოქტომბრის №6149336 ბრძანებაში მშენებლობის ნებართვის დამატებასთან დაკავშირებით.
წინამდებარე გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქ. №7) კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.